შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) **1.** მოსწავლემ დაწერა: *პედაგოგთა უმეტესობა ახალგაზრდების სწავლებას უსასყიდლოდ აწარმოებდა.*

აუხსენით მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) **2.** მოსწავლემ *დაწერა: ბალავარი მიწისძვრას დაეხეთქა, ხოლო სახურავის ფიქალი ალაგალაგ* ქარს გადაეძრო.

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ჩვენს წინაშეა ადამიანი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *ბიჭი მიხვდა, რომ მალე მეგობრების დახმარება დაჭირდებოდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *ოთახის კარი ღამით ვიღაცას გაუტეხნია და ფული წაუღია.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *ის, რომ საკითხი ღრმად შეისწავლეს, გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **7.** მოსწავლემ დაწერა: *თბილისში, 1935 წელს სატელეფონო სადგური ამუშავდა.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) **8. თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს ზმნისწინის რაობა.**

(2) **I**. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ზმნისწინის ფუნქციები.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ ორი საკითხი, რომლებიც ზმნისწინთა მართლწერას უკავშირდება.

(7) **9.** წაიკითხეთ ნაწყვეტი ზურაბ კაკაბაძის პუბლიცისტური წერილიდან:

ტექნიკის აზრი იმაშია, რომ იგი ადამიანის მაგიერ მუშაობს, ქმნის და ასე მზა სახით აწოდებს მას პროდუქტს. ტექნიკას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის ინტერესი შემოქმედებისადმი. კიდევაც რომ შეძლოს ტექნიკურმა საშუალებამ შემოქმედების განხორციელება (რაც საეჭვოა), ეს ხომ არ იქნება ადამიანის შემოქმედება, არამედ იქნება ადამიანის მაგიერ შემოქმედება. ხოლო ადამიანს, საბოლოო ანგარიშში, საკუთარი შემოქმედებითი აქტივობის განცდა ესაჭიროება და ამის გარეშე არ შეუძლია იყოს ბედნიერი.

ცხოვრების მეტისმეტი შემსუბუქება, რასაც მიზნად ისახავს „ტექნიკური ოპტიმიზმი“, ნამდვილად შემსუბუქება კი არაა, არამედ სწორედ საბედისწერო დატვირთვა მოწყენილობის, მარტოობის და სხვა უმძიმესი განცდებით.

(2) **I.** განსაზღვრეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ზურაბ კაკაბაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(2) **III.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **10.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. დაწერეთ ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება - ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, სინტაქსურს, პუნქტუაციურსა თუ სტილისტურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი ენობრივი შეცდომა ან/და სტილისტური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატია გულისხმობს საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას სხვის სასარგებლოდ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

XXI საუკუნეში ყველა იბრძვის თავისი უფლებებისათვის. ამის გამო არის ხშირი სასამართლო ან უბრალოდ საზოგადოებრივი ანალიზი. დემოკრატია, როგორც ასეთი, გულისხმობს ადამიანთა თანასწორობას. არ აქვს მნიშვნელობა იმას თუ როგორ გამოიყურები, რა კანის ფერი გაქვს ან თუნდაც რა ორიენტაცია გაქვს, მთავარია იყო ადამიანი. დემოკრატია თავის მხრივ არაა უნაკლო. მახსენდება უინსტონ ჩერჩილის სიტყვები, რომ დემოკრატია არ არის ყველაზე კარგი მმართველობის ფორმა, მაგრამ სხვა დანარჩენებთან შედარებით უკეთესია. შეიძლება ზუსტათ ვერ ვციტირებ მას, მაგრამ აზრი იგივეა: ყველაზე ცუდში უკეთესი უნდა შეირჩეს.

ასი პროცენტით ადამიანის უფლებების დაცვას ვერცერთი მმართველობის ფორმა ვერ შესძლებს, დემოკრატია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და ჩვენი შესაძლებლობები კონსტიტუციით. დანარჩენი პიროვნებაზეა დამოკიდებული, რამდენად უნდა თავისი უფლებებისათვის ბრძოლა. ადამიანს დემოკრატია არ უნდა უზღუდავდეს თავისუფლებას, პირიქით ეხმარება და როგორც იტყვიან ხოლმე „ჰა ბურთი და მოედანიო“. მთავარია ამის გამოყენება. დემოკრატიიდან განსხვავებით, სხვა მმართველობის ფორმაში იგრძნობა ან იგრძნობოდა ადამიანის დიკრიმინაციის ფაქტები. მაგალითად: ტირანული მმართველობის ან აბსოლიტური მონარქიის დროს, როდესაც არისტოკრატია ან კერძოდ მმართველი განაგებს ხალხის ბედს. ხალხი თითქოს მათ მიერ არიან დამონებული ამ სიტუაციაში.

ჩემი აზრით, ვიტყვი, რომ ადამიანს თუ სურს საკუთარი უფლებების დაცვა იგი ყველაფერს გააკეთებს ამისათვის, მაგრამ ეს დამოკიდებულია მის ბუნებაზე. პირადად ჩემი უფლებების დარღვევას ვერ ავიტან და დემოკრატიისგან ბოძებულ შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოვიყენებ.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **11. რომელი თხზულების ნაწყვეტია ქვემოთ მოცემული ტექსტი?**

„შენ ხარ ვენაჯი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული
და თავით თჳისით მზე ხარ განბრწყინვებული!“

ა) დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

ბ) დემეტრე მეფის „ღმრთისმშობლისანი“.

გ) იოანე მინჩხის „გალობანი წმიდისა გიორგისანი“.

დ) უცნობი ჰიმნოგრაფის „საგალობელი წმიდისა ნინო მოციქულისაჲ“.

(1) **12. იაკობ ხუცესის ტექსტის განხილვის დროს მოსწავლემ დაწერა:** *შუშანიკის დროს ქართულ ენაზე წიგნები უკვე არსებობდა, რაკი მას ხელთ ჰქონდა დავითნი და წმინდა მოწამეთა წიგნები.*

რომელი არგუმენტი შეიძლება გამოვიყენოთ იმის ნათელსაყოფად, რომ მოსწავლის თვალსაზრისი საკამათოა?

ა) ავტორის ეს ცნობა საერთოდ არ არის სანდო, რადგან წამებულ დედოფალს პიტიახშმა ყველაფერი ჩამოართვა და თავისთავად ცხადია, რომ არც წიგნებს დაუტოვებდა.

ბ) თხზულებაში არსად ჩანს, რომ ეს ტექსტები ქართულენოვანი იყო; სავსებით შესაძლებელია დედოფალს ბერძნული ენა ისე სცოდნოდა, რომ წიგნები ბერძნულად ეკითხა.

გ) ჟამთააღმწერლის ცნობის მიხედვით, ქართული ანბანი ისეთ დროს არის შექმნილი, რომ, სავარაუდოდ, შუშანიკს ქართულ ენაზე დაწერილი წიგნები ვერ ექნებოდა.

დ) შუშანიკი წარმოშობით სომეხი იყო, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ქართული ენა საერთოდ არ იცოდა და სომხურენოვან წიგნებს კითხულობდა.

(1) **13. რომელ ჟანრს მიაკუთვნებენ მეცნიერები „აბო თბილელის წამების“ მეოთხე თავს?**

ა) მარტირიკას.

ბ) ჰაგიოგრაფიას.

გ) ჰიმნოგრაფიას.

დ) ჰომილეტიკას.

(1) **14. რა პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოძმეების სასულიერო მოღვაწეობას?**

ა) არაბთა აგრესიული პოლიტიკის შედეგად საქართველოს მთელი მოსახლეობა გამაჰმადიანების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამიტომ გრიგოლ ხაძთელის მიერ წამოწყებული მშენებლობა ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ბ) გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ ეკლესია-მონასტრებში უამრავი ლტოლვილი და არაბთა ტყვეობიდან გამოქცეული ადამიანი აფარებდა თავს და საჭიროების შემთხვევაში კურაპალატები შეძლებდნენ მათ მეომრებად გამოყენებას დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

გ) მამა გრიგოლი თავისდა უნებურად ემსახურებოდა სახელმწიფო ძალაუფლების განმტკიცებას იმით, რომ ხელს უშლიდა არაბული პოლიტიკის მომხრე ცქირისა და მისი მსგავსი ავანტიურისტების გაბატონებას ეკლესიის მმართველ ფენებში.

დ) ქართლში მეფობის მოშლისა და საამიროს დაარსების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესი სწორედ ტაო-კლარჯეთიდან იწყებოდა, რასაც მრავალი თვალსაზრისით ხელს უწყობდა გრიგოლის ხანძთელის მოღვაწეობა.

(1) **15. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *კონკრეტულად რა იგულისხმება ნათქვამში, რომ ქართულმა მწერლობამ თავისი წვლილი შეიტანა ბერძნული (ზოგადად, ევროპული) ლიტერატურის განვითარებაში?*

რომელი წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ ამ კითხვის პასუხად?

ა) ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულად თარგმნა ბუდას ცხოვრების გაქრისტიანებული ვერსია, ე. წ. „სიბრძნე ბალავარისი“, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წიგნად იქცა შუა საუკუნეებში.

ბ) „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პირველი რენესანსული თხზულების, თარგმნამ ევროპულ ენებზე სრულიად სხვა მიმართულება მისცა აღორძინების ხანის კულტურის შესწავლის პროცესს ევროპაში.

გ) უცნობმა ქართველმა ავტორმა ქართულ ენაზე თარგმნა ნიზამის „ლეილმაჯნუნიანი“ და „ხოსროვშირინიანი“, რომლებიც შემდეგ ბერძნულად ითარგმნა და მთელ ევროპაში გავრცელდა.

დ) ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ თავდაპირველად ქართულ ენაზე ითარგმნა, შემდეგ კი ათონელმა ბერებმა ქართულიდან ჯერ ბერძნულ, შემდეგ კი სხვადასხვა ევროპულ ენაზე თარგმნეს.

(1) **16. „ვეფხისტყაოსნის“ რომელი სტრიქონები უნდა ჩაითვალოს არეოპაგიტიკის გამოძახილად?**

ა) „კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

ბ) „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია;
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“.

გ) „რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“

დ) „სმა-ჭამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!“

(1) **17. „ვეფხისტყაოსნის“ ფინალური ნაწილის განხილვის დროს კლასში დაისვა საკითხი:** *რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს ამ მეტაფორით: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ეს მეტაფორა ააშკარავებს ავტორის სურვილს - დაანახვოს მკითხველს, რომ ტარიელი ღვთიური წარმოშობისაა, მისი არქეტიპული სახე წმინდა გიორგია.

ბ) გველის ტყვეობისაგან მზის გათავისუფლება აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი მოტივია - ასე მიგვანიშნებს ავტორი პოემის სიუჟეტის სპარსულ წარმომავლობაზე.

გ) მითოსური სახეების გამოყენებით ავტორი კიდევ ერთხელ გამოხატავს აზრს, რომ გველეშაპის, ანუ ბოროტების, დასამარცხებლად ბრძოლაა საჭირო.

დ) ნესტანის გათავისუფლება კოსმიური მასშტაბის მოვლენად - სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებად, ანუ ღვთის ნების აღსრულებად, არის წარმოდგენილი.

(1) **18. რა აზრს გამოხატავს ავტორი „დავითიანის“ შემდეგ მონაკვეთში:**

„მამისა სიტყვა, სახითა, ვით შრტო ძირთაგან, ეხარა;
მიიბა მთამან პოხილმან, პოხიერებით ეხარა“.

ა) ზოგმა არ ირწმუნა მამა ღმერთის სიტყვა, დანარჩენებმა კი ქრისტეს მიყოლა უკვდავების გზად მიიჩნიეს.

ბ) მიუხედავად ხელისუფალთა დევნისა, მარიამმა გაიხარა, რადგან ანგელოსმა მას ქრისტეს მომავალი შობა აუწყა.

გ) ღვთის სიტყვა, ქრისტე, ღვთისმშობელმა თავის სხეულს შეურწყა, მუცლად იღო, ასე იგრძნო სიხარული.

დ) ღვთის სიტყვის, საეკლესიო ქადაგებების, სწორად აღქმა და გააზრება ადამიანის სულს ნაყოფიერ ნიადაგად აქცევს.

(1) **19. ქართულ რომანტიზმზე საუბრის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რა არის მუხამბაზი და როგორ გაჩნდა იგი ქართულ პოეზიაში?*

ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხებიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ?

ა) მუხამბაზი აღმოსავლური წარმომავლობის ლექსია, რომელიც საკრავის თანხლებით სრულდებოდა; ეს სალექსო ფორმა შედგება 14- ან 11-მარცვლიანი 5 ტაეპისაგან; იგი ბესიკ გაბაშვილმა დაამკვიდრა.

ბ) მუხამბაზი აღმოსავლური წარმომავლობის ლექსია, რომელსაც რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. შედგება 14- ან 16-მარცვლიანი 4 ტაეპისაგან; იგი ქართულ პოეზიაში პირველად არჩილმა გამოიყენა.

გ) მუხამბაზის ფორმა უძველეს დროში ჩამოყალიბდა ხალხურ პოეზიაში, იგი ყოველთვის საკრავის თანხლებით სრულდებოდა; სალექსო ფორმა 20-მარცვლიანი 5 ტაეპისაგან შედგება.

დ) მუხამბაზის ფორმა პირველად ნიზამი განჯელმა შეიმუშავა; ეს სალექსო ფორმა „ოქროს კვეთის“ პრინციპს ეყრდნობა და ქართულ პოეზიაში იგი თეიმურაზ პირველმა დაამკვიდრა.

(1) **20. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რით აიხსნება, რომ გრიგოლ ორბელიანი თავის ლექსებს (ვთქვათ, „საღამო გამოსალმებისა“) რთული, არქაიზებული ენით წერს, მაშინ როცა მუხამბაზებში სასაუბრო მეტყველებას იყენებს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) პოეტი ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორიის“ მიმდევარი იყო და თავის პოეზიაში ე. წ. „მაღალ სტილს“ იყენებდა, მუხამბაზებში კი საგანგებოდ მიმართავდა სასაუბრო მეტყველებას, რათა დაეცინა სალიტერატურო ენასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული პოზიციისათვის.

ბ) პოეტი ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორიის“ მიმდევარი იყო და თავის პოეზიაში ე. წ. „მაღალ სტილს“ იყენებდა, მუხამბაზი კი მას გასართობ ფორმად მიაჩნდა, ამიტომ ლირიკულ გმირად ყარაჩოხელს, მკერავსა თუ მეთევზეს წარმოიდგენდა და, შესაბამისად, „დაბალი სტილით“ წერდა.

გ) პოეტი ახალგაზრდობაში ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორიის“ მიმდევარი იყო და თავის პოეზიაში ე. წ. „მაღალ სტილს“ იყენებდა, შემდეგ კი საკუთარი დისშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გავლენით პოზიცია შეიცვალა და უფრო დემოკრატიულ ენობრივ ფორმებს მიმართა.

დ) პოეტი თავდაპირველად ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის თეორიის“ მიმდევარი იყო და „მაღალ სტილს“ იყენებდა, მუხამბაზის ფორმას კი მას შემდეგ მიმართა, რაც ილია ჭავჭავაძის ენობრივი პოზიცია გაიზიარა და სალიტერატურო ენის მიმართ თავისი დამოკიდებულება შეცვალა.

(1) **21. განუმარტეთ მოსწავლეებს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“ რა განწყობილებას გამოხატავს სტროფი:**

„ჰოი, სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას?
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება“.

ა) ადამის ცოდვით დაცემის განცდას თან სდევს პიროვნული სიძლიერის შეგრძნება.
ბ) ამქვეყნიური ამაოების მტანჯველ განცდას ემატება ჯოჯოხეთში დატანჯვის მძაფრი შიში.
გ) მარტოსულობის ტკივილის განცდა ჰგავს ძე შეცთომილის ვედრებას ცოდვების შენდობისას.
დ) ცოდვით გამოწვეულ მტანჯველ განცდას ენაცვლება სასუფევლის ნეტარების განცდის იმედი.

(1) **22. რომელი ინფორმაცია შეიძლება მივაწოდოთ მოსწავლეებს ქართული დრამატურგიის შესახებ საუბრის დაწყების წინ?**

ა) გრიგოლ რობაქიძემ კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის დახმარებით აღადგინა გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ქართული თეატრალური ტრადიციები.
ბ) ერეკლე მეორის კარზე დაფუძნებულმა ქართულმა თეატრმა არსებობა 1795 წელს შეწყვიტა, 1850 წლის 2 იანვარს კი გიორგი ერისთავის „გაყრის“ წარმოდგენამ საფუძველი ჩაუყარა მის აღდგენას.
გ) 1795 წელს კრწანისის ველზე მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც ქართული სახელმწიფოს მომავალი განსაზღვრა, ქართული თეატრის ისტორიაც დაასრულა.
დ) 1850 წლის 2 იანვარს გიორგი ერისთავის „გაყრის“ წარმოდგენამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრს, თუმც მისი განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი.

(1) **23. ილია ჭავჭავაძის ლექსების („ჩემო კალამო“ და „პოეტი“) შესწავლისას მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *ხომ არ აჭარბებს ილია ჭავჭავაძე, როცა პოეზიას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს? რატომ უნდა იყოს პოეტი ყველაფრის მოთავე და წინამძღოლი?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ილია არ არის ორიგინალური ამ თვალსაზრისით - ტრადიციულად საქართველოში მწერლებს გაცილებით ძლიერი ზეგავლენა ჰქონდათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებზე, ვიდრე უმაღლეს სახელისუფლო პირებს.

ბ) ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოციალური წინააღმდეგობების გამო საქართველოში ვერც ერთი წოდება თავის თავზე ვერ აიღებდა ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებას და ამიტომ, ილიას აზრით, ეს მისია ხელოვანებს უნდა ეკისრათ.

გ) XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში, როცა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნებული იყო, ილია ყველაზე აქტიურ ძალას ქართველ მწერლებში ხედავდა და სწორედ მათ სიტყვასა და აზრს აკისრებდა განსაკუთრებულ მისიას ერის გამოღვიძების საქმეში.

დ) საქართველოში დაბრუნების შემდეგ „თერგდალეულთა“ გუნდმა თავისი სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტები რუსულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების გავლენით დასახა, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი მწერლის განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის წარმოჩენა იყო.

(1) **24. აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რამდენად ლოგიკურია, რომ გამარჯვებული ლაშქრის სიმღერაში საქართველო შედარებულია მიჯაჭვულ ამირანთან, რომელმაც ოდესმე თავი უნდა გაითავისუფლოს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ისტორიულ თემაზე წერს, ამ კონკრეტულ მონაკვეთში თავისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლაშქარი საბერძნეთს დაეხმარა, მას საკუთარი ტერიტორიის ნაწილი დაკარგული ჰქონდა.

გ) მიჯაჭვულ ამირანში იგულისხმება მთელი ქრისტიანული სამყარო, რომელიც, საქართველოსაგან განსხვავებით, დიდი განსაცდელის წინაშე იდგა.

დ) ავტორმა პოემაში გამოიყენა უძველესი ხალხური ტექსტი, რომელსაც ქართული ლაშქარი საუკუნეების განმავლობაში მღეროდა.

(1) **25.** **ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ შესწავლის დროს დაისვა შეკითხვა:** *კონკრეტულად რა გახდა იმის მიზეზი, რომ თემმა ქეთელაური მოიკვეთა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ქეთელაური სარწმუნოებრივ სფეროში ისე შეიჭრა, რომ ადათობრივი სამართლის ნორმა დაარღვია.
ბ) ქეთელაური უკმეხად შეეპასუხა მხცოვან უშიშას, რაც თემის ადათ-წესის შეურაცხყოფა იყო.
გ) ქეთელაურმა მარჯვენა მოაჭრა მხოლოდ ერთ მტერს, რითაც დაკანონებული ტრადიცია უარყო.
დ) ქეთელაურს ახალგაზრდებთან მოუხდა დაპირისპირება და მისი თემიდან მოკვეთა ამან განაპირობა.

(1) **26. დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რა თავისებურება ახასიათებს კლდიაშვილის იუმორს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ამბავი, რომელსაც მწერალი აღწერს, უმთავრესად კომიკურია, ამის საშუალებით კი ავტორი დაუნდობლად ამათრახებს და კიცხავს თავისი პერსონაჟების სულმოკლეობასა და სიმდაბლეს.

ბ) კლდიაშვილის იუმორი მოგონილი თემაა - ავტორი თავის ყველა თხზულებაში იმ ადამიანების ტრაგიკულ ცხოვრებას აღწერს, რომლებიც ყოველდღიური არსებობისათვის იბრძვიან.

გ) მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავის პერსონაჟებს ხშირად კომიკურ სიტუაციაში აქცევს, თავად არასდროს დასცინის მათ, მეტიც, მათ მიმართ თანაგრძნობასა და შებრალებას გამოხატავს.

დ) მიუხედავად იმისა, რომ კლდიაშვილი ილია ჭავჭავაძის მწერლური სტილის გამგრძელებლად მიიჩნევა, მისი იუმორი უფრო ფაქიზი და დახვეწილია, ხოლო ეპიზოდები - რომანტიკული.

(1) **27. გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“.**

რას გვეუბნება კუზმას შესახებ ფინალში ნათქვამი მისივე სიტყვები: *„ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“?*

ა) ბოლშევიკური იდეოლოგიით დაბრმავებული კუზმა ვერ ხედავს ჰაკის ზნეობრივ თავგანწირვას.

ბ) ბოლშევიკური იდეოლოგიით დაბრმავებული კუზმასათვის ყველა თავგანწირული ადამიანი მონაა.

გ) კუზმამ ამ სიტყვებით აღიარა უჯუშ ემხას უპირატესობა ჰაკი აძბასთან შედარებით.

დ) კუზმამ ამ სიტყვებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ზოგადად არისტოკრატიის მიმართ.

(1) **28. ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოების „შელოცვა რადიოთი“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:**

რის თქმა სურს ავტორს, როცა ელი გორდელიანის ცხოვრებას ევროპაში რუსთველისეული ფრაზით ახასიათებს: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე ქვე მითქვამს იდუმალ ვა“?

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) მთავარი პერსონაჟის გარეგნულად ბრწყინვალე ცხოვრება დიდ ტკივილსა და ნოსტალგიას მალავს.

ბ) მთავარი პერსონაჟის ყოფა „ვეფხისტყაოსნის“ ქალების მდიდრულ და უზრუნველ ცხოვრებას ჰგავს.

გ) მთავარმა პერსონაჟმა ეგოისტურ სურვილებს შვილის, მამისა და სამშობლოს ინტერესები ანაცვალა.

დ) მთავარმა პერსონაჟმა წარმატებულ კარიერას სამშობლოში დაბრუნება და დუხჭირი ყოფა ამჯობინა.

(1) **29. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის განხილვის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რას გულისხმობს ავტორი სტრიქონებში: „ვით სამოთხიდან ალიგიერი, / მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“?*

რომელი მოსაზრება გამოდგება მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) ავტორი გულისხმობს, რომ ის და დანტე მსგავსი მსოფლმხედველობისა და ბედისწერის შემოქმედნი არიან.

ბ) ავტორი გულისხმობს, რომ თავადაც ისევეა ჯოჯოხეთში მოხვედრილი, როგორც „ღვთაებრივი კომედიის“ პერსონაჟი.

გ) ავტორი გულისხმობს, რომ პოეზიის დანიშნულება რეალურად არსებული ჯოჯოხეთის წარმოსახვით სამოთხედ ქცევაა.

დ) ავტორი გულისხმობს, რომ ყველა პოეტის იმქვეყნიური ცხოვრება „ღვთაებრივ კომედიაში“ ასახული ჯოჯოხეთის მსგავსია.

(1) **30. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ საუბრის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ იყო ჯავახიშვილი ისეთი მიუღებელი ხელისუფლებისთვის, რომ იგი სასიკვდილოდ გაიმეტეს?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლისათვის პასუხის გასაცემად?

ა) მწერალი მიუღებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის თავისი მსოფლმხედველობისა და ზოგიერთი თხზულების, განსაკუთრებით, „ჯაყოს ხიზნებისა“ და „დამპატიჟეს“ გამო.

ბ) მწერალი მიუღებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის თავისი მწვავე პუბლიცისტიკისა და ყველაზე ვრცელი და ცნობილი რომანის, „არსენა მარაბდელის“, გამო.

გ) მწერალი ხელმძღვანელობდა 1924 წლის აჯანყებას, რომელიც ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად.

დ) მწერალი ხელმძღვანელობდა „ქართველ მწერალთა აკადემიურ ასოციაციას“, რომელიც ყველა სხვა ჯგუფისაგან ბოლშევიკური ხელისუფლების სიძულვილით გამოირჩეოდა.

III. მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ჩიტების გამომზამთრებელი“:

თანამედროვე დაბალჭერიანი ბინა. მოკლედ ჩამოშვებული სამფინჯნიანი რძისფერი ჭაღი. პრიალა პარკეტი. პრიალა ავეჯი, წიგნები, ფოტოსურათი - გაღიმებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუაში უზის ორი-სამი წლის კოპებშეკრული ბიჭი... ისმის ელექტროზარის ხმა. სამზარეულოდან გამოდის ორმოცი წლის დაბალი, რბილნაკვთებიანი ქალი. გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭვირვალე წინსაფარს, თეძოებთან ისწორებს კაბას, მერე - კეფაზე ფომფლო გორგლად დახვეულ თმას. კარის საკეტს გადასწევს. შემოვა შეჭაღარავებული ჯმუხი მამაკაცი, გაზეთში გახვეული რაღაც უჭირავს. დაღლილ, ნაღვლიან თვალებს თითქოს არიდებენ ერთმანეთს.

ქ ა ლ ი. შენი გასაღები რა უყავი?

მ ა მ ა კ ა ც ი. არ ვიცი, საწვიმრის ჯიბეში თუ ჩამრჩა.

ქ ა ლ ი. საწვიმარი მე დავაუთოვე და იქ არაფერი არ არის.

მ ა მ ა კ ა ც ი. მაშინ დამიკარგავს.

ქ ა ლ ი. როგორ ადვილად ამბობ, „დამიკარგავს“.

მ ა მ ა კ ა ც ი. აბა, რა ვქნა, თმები დავიგლიჯო?

ქ ა ლ ი. შენ რაზე დაიგლეჯ... შენ არაფერზე არ დაიგლეჯ თმებს.

მ ა მ ა კ ა ც ი. სკოლაში იყავი?

ქალს ეს შეკითხვა თითქოს არ გაეგონოს.

ქ ა ლ ი. ეგ რა არის?

მ ა მ ა კ ა ც ი. რეიტუზი ვუყიდე.

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ქ ა ლ ი. ვის უყიდე, ვის! მაგ დებილს, მაგ არანორმალურს? გგონია, რომ ესწრება ფიზკულტურას?

მ ა მ ა კ ა ც ი. აბა, სად დადის?

ქ ა ლ ი. ჭირში და მოუსავლეთში მაგისი თავი, ჭირში. - დივანზე ჯდება, მკლავები მუცელთან მიაქვს, იღუნება, - მე აღარ შემიძლია, ჩადი შენ თვითონ, მამა ხარ, გარკვეული პასუხისმგებლობა შენც ხომ გეკისრება, გააცდინე ეგ შენი სამსახური, დაეთხოვე, დააგვიანე... ციხიდან უშვებენ ხალხს და შენი სამსახური რა გახდა ისეთი! ჩადი, ბატონო, და შენ თვითონ გაიგე, სად დადის შენი დეგენერატი ვაჟიშვილი, რას სწავლობს. საერთოდ, თუ აკეთებს რამეს. რა ჭირზე ფიქრობს, გამოლენჩებული რომ ზის გაკვეთილზე. ჩადი, ბატონო, და შენი ყურით გაიგე, რას ლაპარაკობენ მასწავლებლები. მე აღარ შემიძლია. მეც ხომ ადამიანი ვარ. კარგი, ადამიანისა აღარ შემრჩა აღარაფერი, სულდგმული ხომ ვარ. აი, ვიკუნტები, ვიკრუნჩხები და ისე გევედრებით: მე აღარ შემიძლია, გავთავდი, მოვრჩი, ცოტა დამეხმარეთ.

მ ა მ ა კ ა ც ი. შენ რომ ნამდვილი გაჭირვება შეგხვდეს, მაშინ რაღას იზამ?

ქ ა ლ ი. რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას - შიმშილს? სიცივეს? უსახლკარობას? ფეხშიშველა სიარულს? ვაი, რა ბედნიერებაა, როცა გშია, სიცივით გაკანკალებს, მაგრამ არავინ დაგცინის...

მ ა მ ა კ ა ც ი. ადექი, მაჭამე რამე, ლუკმა არ ჩამიდვია დილას აქეთ.

ქალი ადგება, ცრემლების წმენდით, ცხვირის ხოცვით მიდის სამზარეულოსკენ...

მ ა მ ა კ ა ც ი. ახლა სად არის?

ქ ა ლ ი. ჯანდაბაში იმისი თავი, მამიდასთან წაეთრა. შემიყვანეს, როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ზედ ხელი და ისე დამაწერინეს ხელწერილი: ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდევ, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო...

მ ა მ ა კ ა ც ი. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რით დავიწყო.

ქ ა ლ ი. შიში ჩაუნერგე ბავშვებს. ჩაუნერგე, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ. თუ არ გააკეთებენ...

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

მ ა მ ა კ ა ც ი. ყელები დავჭრა, არა?

ქ ა ლ ი. არ შეიძლება შენთან ნორმალური ლაპარაკი.

მ ა მ ა კ ა ც ი. რა არის ამაში არანორმალური. შენ მეუბნები, ბავშვს ჩავუნერგო შიში, ჩავუნერგო, რომ, რაც გასაკეთებელი აქვთ, უნდა გააკეთონ. თუ არ გააკეთებენ... მე გეკითხები, რა ვქნა-მეთქი, თუ არ გააკეთებენ, ყელები დავჭრა ამ უძლურებს, უკან-უკან რომ იწევენ ყოველწამს და ჩვენ ანტიბიოტიკებით ვექაჩებით ჩვენკენ? რა არის ამ კითხვაში არანორმალური?

ქ ა ლ ი. დამანებე თავი...

გაიღება კარი. შემოდის გაღიმებული თხუთმეტი წლის ბიჭი. მაღალია, წვრილი, მხრებში მოხრილი. გრძლად გაშვებული სქელი თმა კიდევ უფრო უპატარავებს ისედაც პატარა, სიგამხდრისაგან ჩამუქებულ, ჩატეტკილ სახეს. გაბერილი ქაღალდის პარკი უკავია მკერდთან. მთელი სხეულით მოაქვს გასახარი ამბავი. დიდხანს იწმენდს ფეხებს.

ბ ი ჭ ი. ფანჯრები დაკეტილია?

ქალი და მამაკაცი შემკრთალი თვალებით შეჰყურებენ ერთმანეთს.

ქ ა ლ ი. ფანჯრები რად გინდა?

ბ ი ჭ ი. ჩიტბატონები ვიყიდე, მთლად იაფად, გამოვაზამთრებ და გაზაფხულზე გავუშვებ.

პარკს პირს მოხსნის და ჩიტბატონებს ამოაფრენს. ისინი ფრთხიალით, რიკრიკით, წითელ-ყვითელი ფერების თახთახით დაფრინავენ ოთახში. ბიჭი ქვემოდან შესცქერის და ბედნიერებით უბრწყინავს სახე.

ქალი წამოვარდება, საკუჭნაოდან იატაკის საწმენდ ჯოხს გამოიტანს და ჩიტებს გამოედევნება.

ბ ი ჭ ი. არ დაარტყა! არ დაარტყა!

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ქ ა ლ ი. გამეცალე, თორემ შენ გაგიხეთქავ თავს.

ბ ი ჭ ი. მამა, არ დაარტყას, მამა!

მამაკაცი ჭამს, თეფშს ჩაჰყურებს.

ქალი იმ მეორე ჩიტსაც მისწვდება, აჭყივლებული მისრისა კუთხეში.

ბ ი ჭ ი. კარგი, დედა!

დიდი, საბრალობელი თვალები ცრემლებით აქვს სავსე. მიდის, ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო ფრთით, მერე - მეორეს. დგას ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფეხებდაუძლურებული. მერე უცნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე ყუთში ყრის.

ბ ი ჭ ი. კარგით! კარგით!

ფერდაკარგული ქალი იატაკის საწმენდ ჯოხს საკუჭნაოში შეიტანს და კარს ღონივრად გამოხურავს.

მამაკაცი ხმას არ იღებს

ბ ი ჭ ი. კარგით! კარგით!

მ ა მ ა კ ა ც ი. თუ არავინ გავალებს, არც ჩიტების გამოზამთრებაა საჭირო, თუ არავინ გავალებს...

ბ ი ჭ ი. კარგით! კარგით!

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) **31.** რას მიგვანიშნებს ავტორი გასაღების შესახებ გამართული დიალოგით?

ა) ქალი უაღრესად გაღიზიანებულია.

ბ) ცოლ-ქმრის ურთიერთობა საქმიანია.

გ) მამაკაცი არაფერს უთმობს მეუღლეს.

დ) ცოლ-ქმრის ურთიერთობაში უჩვეულო არაფერია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **32.** **ქალის რა განცდაა გამოხატული სიტყვებში:** „ჯანდაბაში იმისი თავი, მამიდასთან წაეთრა“**?**

ა) აღშფოთება.

ბ) გაკვირვება.

გ) გულგრილობა.

დ) უშფოთველობა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე](#)

(1) **33. როგორ გარემოზე მიგვანიშნებს ავტორი დედის მიერ წარმოთქმული სიტყვებით:** „ერთი ორიანიც რომ მიიღოს კიდევ, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო...“

ა) ბიჭს დაპირისპირებულ და დამთგუნველ გარემოში უწევს ყოფნა.

ბ) სკოლა აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების გამოსწორებაზე ზრუნავს.

გ) ყმაწვილი მზრუნველ და კეთილგანწყობილ გარემოშია მოხვედრილი.

დ) ცუდი ყოფაქცევით გამორჩეული მოზარდები სკოლაში სასტიკად იჩაგრებიან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **34.** რატომ განიცდის ქალი მტკივნეულად იმას, რომ სკოლაში ხელწერილი დააწერინეს?

ა) დედობაზე უარის თქმა აიძულეს.

ბ) მისი თავმოყვარეობა შეილახა.

გ) მისი უფლებები დაირღვა.

დ) შვილის სკოლიდან წაყვანას სთხოვენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **35. მამაკაცის რა განცდაა გამოხატული სიტყვებში:** „როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რით დავიწყო“?

ა) აღშფოთება.
ბ) გულგრილობა.
გ) დაბნეულობა.
დ) სიმტკიცე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **36. შვილისადმი დედ-მამის როგორი დამოკიდებულება ჩანს მონაკვეთში:** „რა ვქნა-მეთქი, თუ არ გააკეთებენ, ყელები დავჭრა ამ უძლურებს, უკან-უკან რომ იწევენ ყოველწამს...“?

ა) დედა უფრო ლოიალურია შვილის მიმართ, ვიდრე - მამა.
ბ) დედ-მამა თანაბარ სისასტიკეს იჩენს შვილის მიმართ.
გ) მამა უფრო ლოიალურია შვილის მიმართ, ვიდრე - დედა.
დ) მშობლებს საერთოდ არ აინტერესებთ შვილის ბედი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **37.** **მამის რა პოზიციას გამოხატავს მისი სიტყვები :** „შენ რომ ნამდვილი გაჭირვება შეგხვდეს, მაშინ რაღას იზამ“?

ა) მეუღლის გაღიზიანებასა და ნერვიულობას იგი საკუთარ თავს აბრალებს.
ბ) მეუღლის მუდმივი უკმაყოფილების გამო ოჯახში გაჩერება აღარ შეუძლია.
გ) სკოლისა და დედის დამოკიდებულება ბიჭის მიმართ გაზვიადებულად მიაჩნია.
დ) სკოლისა და დედის დამოკიდებულება ბიჭის მიმართ მართებულად მიაჩნია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **38. ბიჭის რა თვისებები ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში:** „...ქვემოდან შესცქერის და ბედნიერებით უბრწყინავს სახე“?

ა) გულკეთილობა და სილამაზის აღქმის უნარი.
ბ) თავმოყვარეობა და მოვალეობის შეგნება.
გ) მერყეობა და სათანადო ნების უქონლობა.
დ) სიამაყე და პასუხისმგებლობის გრძნობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **39. რაზე მიგვანიშნებს ავტორი სიტყვებით:** „მამაკაცი ჭამს, თეფშს ჩაჰყურებს“**?**

ა) აღტაცებულია ჩიტბატონების სილამაზით, თუმცა ვერ ახერხებს ამის გამოხატვას.

ბ) აღშოთებულია შვილის საქციელით და ჩუმ თანხმობას უცხადებს ცოლს.

გ) მას ეცოდება განერვიულებული ცოლი და თანაუგრძნობს მას.

დ) მამაკაცს ნება არა ჰყოფნის, წინ აღუდგეს ცოლის სისასტიკეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **40.** ბიჭის როგორ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს მისივე სიტყვები: „კარგით! კარგით!“?

ა) აღშფოთებას.
ბ) გულგრილობას.
გ) დაეჭვებას.
დ) იმედგაცრუებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(5) **41.** იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!